აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა

კომისიის/კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

01.09.2017-01.09.2018

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის/კომიტეტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია 2017 წლის 01 სექტემბრიდან 2018 წლის 01 სექტემბრის მდგომარეობით კომიტეტის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ ინფორმაცია, უმაღლეს საბჭოსა და ბიუროს სხდომებზე კომიტეტის თავმჯდომარის მიერ გატანილი საკითხების, კომიტეტის მიერ გამართული სხდომების, მომზადებული დასკვნების, მოქალაქეთა მიღებებისა და განხილულ კორესპონდენციათა სტატისტიკა.

წარმოდგენილია კომისიის/კომიტეტის თავმჯდომარისა და კომისიის/კომიტეტის წევრების მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების, შეხვედრებისა და სხვადასხვა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

კომიტეტის თავმჯდომარე	**ვახტანგ წულაძე**
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე	**ირაკლი ჭეიშვილი**

კომიტეტის წევრები: **გიორგი რომანაძე**
ხვიჩა შარაშიძე
ელგუჯა ბაგრატიონი

კომიტეტის აპარატი

აპარატის უფროსი	**ჯამბულ ჯურცხალიძე**
თავმჯდომარის თანაშემწე	**გიორგი დავითაძე**
უფროსი სპეციალისტი	**ნაზი ჯინჭარაძე**
უფროსი სპეციალისტი	**ანზორ დუმბაძე**
უმცროსი სპეციალისტი	**დავით წულუკიძე**

კომისიის/კომიტეტის საქმიანობის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი არის უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

კომისია/კომიტეტი საანგარიშო პერიოდში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებდა საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობას, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობის კონტროლს.

კომისიის/კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

კომისია/კომიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებად განსაზღვრული იქნა საკანონმდებლო საქმიანობა, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება.
- აგრარული და სასურსათო სექტორის განვითარება;
- გარემოს დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;
- ამომრჩევლებთან შეხვედრისას, მოქალაქეთა მიღებისას და კომისიაში/კომიტეტში განსახილველად შემოსულ განცხადებებში დასმული პრობლემური საკითხების განხილვა და შესაბამისი რეაგირება.

საკანონმდებლო საქმიანობა

- საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დავით გაბაიძის, აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ვახტანგ წულაძის და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი და მიღებული იქნა - საქართველოს კანონის პროექტი „გრანტების შესახებ“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

კანონპროექტში ცვლილების შეტანის მიზანი იყო ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოების მიერ გრანტების მიღების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. (მუხლი 1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „გ) საქართველოს ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო“.).

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში“ ცვლილების შეტანა გამომდინარეობდა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებიდან. წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანი იყო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული იმ აუცილებელი ინფორმაციის ჩამონათვალის გაფართოება, რომელსაც უნდა შეიცავდეს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი. (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ1“ ქვეპუნქტი: „ვ) დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს“.).

- აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ვახტანგ წულაძის და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნუგზარ სურმანიძის ინიციატივით ცვლილება შევიდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 26 იანვრის №22 დადგენილებაში.

კომისიის/კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობა,

ძირითადი მიმართულებების მიხედვით

- აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისია/კომიტეტი თავის საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა აგრარულ-სასურსათო სექტორის ცალკეული დარგების განვითარებასა და აგროსერვისის ერთიანი სამსახურის ფორმირების ხელშეწყობას, ფერმერთა და აგრომეწარმეთა სწავლება-კონსულტირებას.

- კომისიას/კომიტეტს აქტიური საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შესაბამის სამსახურებთან. ერთობლივად იქნა განხილული ცალკეული დარგებისა და ძირითადი მიმართულებების განვითარების პრობლემები.

- კომისიის/კომიტეტის სხდომებზე მოსმენილი იქნა ინფორმაციები სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებების: სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის, ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების სეზონისათვის მზადების, საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის, აგროსერვისის ერთიანი სამსახურის ფორმირების მიმდინარეობის შესახებ და სხვა საკითხებზე.

- კომისია/კომიტეტი აქტიურად მონაწილეობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების განხილვასა და მონიტორინგში.

- კომისიის/კომიტეტის სხდომებზე განხილული იქნა შესაბამისი ინფორმაციები მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების შესრულების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ჩამოყალიბდა ციტრუსოვანთა ნაყოფისა და ხეხილის შესყიდვა-რეალიზაციის და გადამუშავების ერთიანი ინფრასტრუქტურა.

- კომისია/კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გარემოს დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს ინტეგრირებული მართვის, ტყის მდგრადი მართვისა და დაცვის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებების განხორციელებას და ამ მხრივ აქტიურად თანამშრომლობს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთან.

- კომისია/კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთან და აჭარის სატყეო სააგენტოსთან.

- კომისია/კომიტეტი თანამშრომლობდა სამთავრობო უწყებებთან, მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველობის ორგანოებთან მოსახლეობის მიერ დასმული სხვადასხვა საკითხების, განცხადებებისა და წინადადებების ერთობლივი განხილვისა და გადაწყვეტის საქმეში.

- ერთობლივი საქმიანობის შედეგად გადაწყვეტილი იქნა სხვადასხვა სოფლებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის, ავტობანის მშენებლობის, მიწათსარგებლობის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის არაერთი საკითხი.

კომისიაში/კომიტეტში ცალკეული დარგების მიხედვით მომზადდა არა ერთი წინადადება და შენიშვნა, რომელიც გათვალისწინებული იქნა რესპუბლიკური ბიუჯეტის ფორმირებისას პროგრამულ ნაწილში:

ა)სოფლის მეურნეობის სამინისტრო

1. განსახორციელებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების პასპორტიზაცია, ნიადაგის ტიპების და ქიმიური შემადგენლობის დადგენა, რაც მოგვცემს საშუალებას რეალურად დავადგინოთ ამ მიწების ფასეულობა და საინვესტიციო პოტენციალი;
2. საჭიროა ხულოსა და ქობულეთის მსგავსად ვეტერინარიის ცენტრის ამოქმედება დარჩენილ რაიონებში;
3. 2017 წლის მსგავსად გასაგრძელებელია კარტოფილის სათესლე მასალისა და ბიოსასუქის მოსახლეობისათვის თანადაფინანსებით გაცემის კომპონენტი. 2018 წელს ამ პროგრამის განხორციელება მოგვცემს საშუალებას მოვახდინოთ კარტოფილის სათესლე ბანკის დივერსიფიცირება;
4. რძის წარმოება-რეალიზაციის ხელშეწყობისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 1 რძის შემკრები ავტომობილის შეძენა, რაც საკმარისი არ არის, თუნდაც საპილოტე პროექტის დასაწყებად. სასურველია ავტომობილების რაოდენობის გაზრდა 4 ცალამდე;
5. ქვეყანაში არსებული ფიტოსანიტარული მდგომარეობის გათვალისწინებით, მავნებლებთან (აზიური ფაროსანა და სხვ.) ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ბიუჯეტში გათვალისწინებული ბაღის მობილური შემასხურებელი აპარატის რაოდენობა გასაზრდელია 2500 ცალამდე.

ბ)გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

1. აჭარის ტყეების ინვენტარიზაციის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად, ტყეების სრულყოფილი მოვლისა და დაცვისათვის საჭიროა რაიონებში 12 ტყის მცველის დამატება;
2. დარგში ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვის მიზნით, საჭიროა სტუდენტ-კურსდამთავრებულთა სტაჟირების პრაქტიკის დანერგვა, კერძოდ, მოკლევადიან პერიოდში (6-12 თვე) მათი დასაქმება სათანადო ანაზღაურებით, რაც თითოეულ სუბიექტს გაუჩენს მოტივს ღრმად დაეუფლოს პრაქტიკულ საქმიანობას და ორგანიზაციულ მიდგომას;
3. აჭარის სატყეო სააგენტოს რაიონული სატყეოების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის საჭიროა ამორტიზირებული ავტო ტრანსპორტის შეცვლა (4 ერთეული);
4. ახალი სატყეო გზების გაყვანის შემდგომ ეროზიული პროცესების შესაჩერებლად საჭიროა გზის ზედა ფერდების დამუშავება და დახრის კუთხის რეგულირება, რისთვისაც საჭიროა JSB-ს ტიპის 2 ექსკავატორის შეძენა. ასევე გზის გაყვანისას ბურღვა აფეთქებითი სამუშაოების მოცულობების შესამცირებლად საჭიროა ამ ექსკავატორების ეგრეთწოდებული კოდალას ტიპის ხელსაწყოებით აღჭურვა.

კომისიის/კომიტეტის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები, შეხვედრები და სხვადასხვა საქმიანობა

კომისიის/კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები სისტემატიურად მართავდნენ შეხვედრებს საზოგადოებასთან, უცხოელ სტუმრებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან. განახორციელეს რამდენიმე საქმიანი მივლინება უცხოეთში.

➢ საქართველო-გერმანიას შორის დიპლომატიური ურთიერთობის 25 წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დელეგაცია, აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ვახტანგ წულაძის მეთაურობით გერმანული მხარის მოწვევით 4-5 სექტემბერს, გერმანიის ბრანდერბურგის ფედერალური მიწის ლანდთაგის წარმომადგენლებს შეხვდა. მომხსენებელმა ვახტანგ წულაძემ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად რეგიონული ურთიერთობების გაღრმავება დაასახელა და ხაზი გაუსვა ბრანდერბურგსა და აჭარას შორის ბოლო წლებში გააქტიურებული თანამშრომლობის მნიშვნელობას.

➢ ვახტანგ წულაძე 2017 წლის 14 სექტემბერს დაესწრო სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2018 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროგრამული ნაწილის პრეზენტაციაზე.

➢ 15 სექტემბერს ვახტანგ წულაძე მთავრობის საკონფერენციო დარბაზში, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2018 წლის პროგრამების საჯარო განხილვას დაესწრო. შეხვედრას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს, აჭარის სატყეო სააგენტოს სპეციალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

➢17 იანვარს ვახტანგ წულაძემ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან დავით გაბაიძესთან ერთად, პროექტის „Wallonie Belgiane Tourizme-ის“ მენეჯერს მიშელ იანოვსკის უმასპინძლეს. შეხვედრაზე ბელგია-საქართველოს შორის ურთიერთობებზე გამახვილდა ყურადღება. ვალონია-აჭარას შორის საკანონმდებლო, ტურისტული, კულტურულ-საგანმანათლებლო და ეკონომიკური კუთხით თანამშრომლობა და ორმხრივი სამუშაო შეხვედრები დაიგეგმა. მიშელ იანოვსკის განცხადებით - დაწყებულია მუშაობა ბელგიიდან ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ავიარეისების დანიშვნაზე, რაც ორი რეგიონისათვის ტურისტული ნაკადის მოზიდვის კარგი შესაძლებლობა იქნება.

➢ 13 თებერვალს ვახტანგ წულაძე, ქობულეთში, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ ორგანიზებულ შეხვედრას დაესწრო. გარემოს დამცველებმა, ექსპერტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შეხვედრაზე კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების UNESCO მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნად გამოცხადების მიზანშეწონილობის საკითხი განიხილეს.

➢ ვახტანგ წულაძე 28 თებერვალს სასტუმრო „შერატონ ბათუმში“ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრას დაესწრო, სადაც აჭარის ა/რ სოფლის განვითარების საბჭომ რეგიონის სოფლის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა დაამტკიცა, რომელიც 2018-2020

წლებში განსახორციელებელი პროგრამების და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას მოიცავდა.

➢ 13 აპრილს ვახტანგ წულაძე ფაროსანასთან ბრძოლის აჭარის საკოორდინაციო შტაბის გახსნის ღონისძიებას დაესწრო. აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის 2018 წლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად, აჭარას 20 ათასი ლიტრი პრეპარატი და 3500 ცალი ფერომენი გადაეცა.

➢ 25 აპრილს ვახტანგ წულაძე ბათუმში სასტუმრო „რედისონში“ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდისა (WWF) და აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ ორგანიზებულ რეგიონულ კონფერენციას - „მდგრადი მეტყევეობა - მდგრადი ადგილობრივი განვითარებისათვის“ დაესწრო. პროექტი ითვალისწინებდა ტყის მართვის ხარისხის გაუმჯობესებასა და მდგრადი მეტყევეობის დანერგვას, რაც შეაჩერებს ტყის ეკოსისტემის დეგრადაციას და ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

➢ 8 მაისს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ წულაძე და კომისიის წევრი გიორგი რომანაძე აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2019-2022 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვას დაესწრნენ.

➢ 8 მაისს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ წულაძე და კომისიის წევრები აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2019-2022 წლების პრიორიტეტების საჯარო განხილვას დაესწრო.

➢ 15 მაისს ვახტანგ წულაძემ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან და უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან ერთად, ბრანდენბურგის (გერმანია) ფედერალური მხარის რეგიონული პარლამენტის, ლანდტაგის ოფიციალურ დელეგაციას უმასპინძლა. ვიზიტის მიზანი უწყებებს შორის საკანონმდებლო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება იყო.

➢ 22-26 მაისს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ წულაძე და კომიტეტის წევრი ხვიჩა შარაშიძე ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ქალაქ ტერნოპოლის საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმს დაესწრნენ. შეხვედრაზე მხარეებმა თანამშრომლობის გაღრმავებასა და სამომავლო ურთიერთობების პერსპექტივაზე ისაუბრეს.

➢ აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ წულაძე და უმაღლესი საბჭოს წევრი დავით ბაციკაძე 11-13 ივნისს ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ესპანეთის ქალაქ ბილბაოში ევროპის რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების საბჭოსა და გაერთიანებული ქალაქების ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამართულ კონფერენციას დაესწრნენ თემაზე: თანასწორობა, მრავალფეროვნება და ჩართულობა.

➢ 19 ივნისს ვახტანგ წულაძემ ბორჯომში, „კავკასიის ეკო-კორიდორების ფონდის რეგიონულ საკონსულტაციო ფორუმი“-ში მიიღო მონაწილეობა. ფორუმის მონაწილეებმა სახელისუფლებო ორგანოებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან და

თვითმმართველობებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ეკოლოგიური დერეფნების ფარგლებში მდგრადი მიწათ და ტყითსარგებლობის პრაქტიკის დანერგვაზე და ამ მიმართულებით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ეკო-დერეფნების ფონდის ჩამოყალიბებაზე იმსჯელეს.

- 26 ივლისს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ წულაძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრთან - ტიტე არუშიძესთან ერთად, სსიპ ლაბორატორიული კვლევის ცენტრის თანამშრომლებს შეხვდა. შეხვედრაზე ისაუბრეს ბოლო წლებში ლაბორატორიის მიერ მიღწეულ წარმატებებზე როგორც ქვეყნის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით, ლაბორატორიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების, ცენტრის უახლესი ლაბორატორიული საკვლევი აპარატურით და დანადგარ-მოწყობილობებით აღჭურვის თაობაზე და სხვა.

- 1 აგვისტოს ვახტანგ წულაძე ბათუმის „მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის“ განხილვას დაესწრო, სადაც აღნიშნეს, რომ მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა განიხილავს გარემოს პირობებზე მოქმედ სექტორებს, მათ შორის ტრანსპორტს, ენერგეტიკას, ინდუსტრიას, მიწათსარგებლობას, ნარჩენების მართვას, წყლის მართვას და ა. შ.

- ვახტანგ წულაძე 8 აგვისტოს ბათუმში, სასტუმრი „ინტურისტ პალასში“ პროექტის - „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტყის ხელუხლებელი კორომების შენარჩუნება - II ფაზა“ დასკვნით შეხვედრას დაესწრო. არასამთავრობო ორგანიზაცია „თემი და გარემოს“ გამგეობის თავმჯდომარემ შეხვედრის მონაწილეებს 2017-2018 წლებში პროექტის მსვლელობისას იდენტიფიცირებული და განხორციელებული სათემო ინიციატივების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

კომიტეტის სხდომების სტატისტიკა

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიაში/კომიტეტში საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 11 სხდომა. მათ შორის:

- კომიტეტის სხდომა – 4;
- კომიტეტების ერთობლივი სხდომა – 5;
- გასვლითი სხდომა – 2 (ქობულეთის აგროსერვისცენტრი; აჭარის ა/რ სატყეო სააგენტო).

სულ კომიტეტის სხდომებზე განხილული იქნა 18 საკითხი. აქედან:

- კანონპროექტი და დადგენილება _ 9;
- საქართველოს პარლამენტიდან შემოსული კანონპროექტი _ 4;
- სხვადასხვა უწყებისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა ანგარიში და ინფორმაცია - 5.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ/კომიტეტმა შეიმუშავა და წარადგინა 9 სავალდებულო დასკვნა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხზე.

კომისია/კომიტეტში შემოსული განცხადებების, წერილების, კორესპონდენციების და მოქალაქეთა მიღების სტატისტიკა

კომისია/კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მუდმივ დახმარებას უწევდა მოსახლეობას სხვადასხვა პრობლემების გადაჭრაში.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში/კომიტეტში შემოვიდა 155 კორესპონდენცია. აქედან:

1. საქართველოს პარლამენტის აპარატიდან შემოსული კანონპროექტი - 7;
2. საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებებიდან, დაწესებულებებიდან, არასამთავრობო, კომერციულ და სხვა ორგანიზაციებიდან შემოსული კორესპონდენცია - 37;
3. უმაღლესი საბჭოს ფრაქცია-კომისიებიდან და აპარატის სტრუქტურული ერთეულებიდან შემოსული კორესპონდენცია - 111;
4. კომიტეტში შემოსული მოქალაქეთა განცხადებები - 105;
5. <u>კომიტეტის თავმჯდომარის ვახტანგ წულაძის სახელზე შემოსული მოქალაქეთა განცხადებების რაოდენობა - 33;</u>
6. მოქალაქეთა მიღების რაოდენობა - 59.

კომისიაში/კომიტეტში შემოსული ყველა განცხადება კომიტეტის აპარატის მიერ აყვანილი იყო კონტროლზე და შესწავლილი იქნა დადგენილ ვადებში. განცხადებების დიდი ნაწილი რეაგირებისათვის გადაეგზავნა შესაბამის უწყებებს, საიდანაც მიღებულია პასუხები მათ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე.